ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №36

20 თებერვალი 2024 წელი

12:00 საათი

ა/წ 20 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. მამუკა გუგეშაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი მაია გძელიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს მაია გძელიძეს.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) - 10 000,0 ათასი ლარი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე /ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება:

დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 800,0 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 500,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 080,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 201,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 1 000,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 250,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 1 562,0 ათასი ლარით (მათ შორის ორხევში, მუხაძის ქ.12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისიდან გამოყვანილი 76 უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახის ბინის ქირა - 912,0 ათასი ლარი), სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 100,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 35,0 ათასი ლარი.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, კერძოდ:

სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 4 ერთეულით, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4876 ერთეულით.
წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ვახტანგ სურგულაძემ, წინაღმდეგია მამუკა გუგეშაშვილი ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე: 4
წინააღმდეგი: 1
თავი შეიკავა: 1

2. აქვე, წარმოდგენილი იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.
მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1850 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ლიმიტი იზრდება 250 ერთეულით, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი.
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ დღეს საკრებულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მარტის თვიდან „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებით მომსახურებას კიდევ 250 ბენეფიციარი მიიღებს. შედეგად, ნაცვლად 1 850 ბავშვისა და მოზარდისა, 2 100 ბენეფიციარი სრულად დაფინანსდება. ქვეპროგრამით თითო მოსარგებლისთვის წლიურად გამოყოფილი თანხა 5 400 ლარია. პროგრამის ბიუჯეტი კი დაახლოებით 1 080 000 ლარით იზრდება. თბილისის მერია წლიდან წლამდე აძლიერებს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამას“. დღევანდელი გადაწყვეტილება კი მომავალ თაობაზე ზრუნვის საქმეში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე